საქართველო და ქართველები

ნიკოლა დე ფერის კედლის რუკაზე

ბიორგი სორდია

საქართველო და ქართველები ნიკოლა დე ფერის კედლის რუკაზე

ავტორი და რედაქტორი: **გიორგი სორდია**
დიზაინი და დაკაბადონება: **ნიკოლოზ ოსიპოვი**

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM) არის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს ეთნო-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს, ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას და ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

© გიორგი სორდია, 2021
© ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM), 2021

შინაარსი:

შესავალი 3

ნიკოლა დე ფერის აზიის კონტინენტის კედლის რუკა 4

საქართველოს და ქართველების გამოსახვა დე ფერის რუკაზე 6

ილუსტრაციები 9

შესავალი

გასული საუკუნეების ევროპელ გეოგრაფთა ნაშრომები მნიშვნელოვან და საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია მდიდარი ევროპული კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, რომელიც ნათლად წარმოაჩენს საქართველოს ადგილს და როლს მსოფლიო ისტორიაში. ცალკეულ ევროპულ რუკებზე დაკვირვებით შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმაზე თუ საუკუნეების მანძილზე როგორი აღქმა გააჩნდა საქართველოს ევროპელთა თვალში, რამდენად მნიშვნელოვანი ქვეყანა იყო ის მათთვის და როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებასთან ერთად. აღნიშნული რუკები უაღრესად საინტერესოა ასევე იმის გასარკვევად თუ რა სახელწოდებებით იყო ცნობილი ევროპაში საქართველოს ცალკეული რეგიონები, ქალაქები, სოფლები თუ სხვა დასახლებული პუნქტები.

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი საკუთარ საქმიანობაში დიდ ყურადღებას უთმობს ევროპული კარტოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლას და დოკუმენტირებას, საქართველოსთვის და კავკასიისთვის მნიშვნელოვანი კარტოგრაფიული ნიმუშების მოძიებას. უკანასკნელი თვეების მანძილზე, ცენტრის მიერ არაერთი ასეთი იშვიათი და მანამდე ფართო საზოგადოებისათვის უცნობი რუკა იქნა გამოვლენილი და წარდგენილი დაინტერესებული აკადემიური საზოგადოებისათვის როგორც ონლაინ პუბლიკაციების[1], ასევე ბეჭდური პროდუქციის და ცენტრის ელექტრონული არქივის გასაჯარეობის მეშვეობით[2].

ამჯერად წარმოგიდგენთ კიდევ ერთ, საქართველოში დღემდე გამოუქვეყნებელ და შეუსწავლელ ევროპულ კარტოგრაფიულ ნიმუშს, რომელიც საინტერესოდ წარმოაჩენს როგორც საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, ასევე შეიცავს ცნობებს საქართველოს ცალკეული მხარეების ეთნოგრაფიის და ისტორიის შესახებ. რუკის მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ მასზე აღბეჭდილია ქართველთა ყოფა-ცხოვრების ამსახველი რამდენიმე გრავიურა. საქმე ეხება მე-17 საუკუნის ცნობილი ფრანგი გეოგრაფის და კარტოგრაფის ნიკოლა დე ფერის (Nicolas de Fer) მიერ 1696 წელს გამოცემულ, დიდი ფორმატის კედლის რუკას აზიის კონტინენტის გამოსახულებით.

---

[1] ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის ონლაინ პუბლიკაციები ხელმისაწვდომია ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: http://csem.ge/publications/

[2] ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის კარტოგრაფიული არქივის ნაწილი ხემისაწვდომია ცენტრის flickr.com-ის ოფიციალურ გვერდზე: https://www.flickr.com/photos/csem_archives/albums

სანამ უშუალოდ აღნიშნული რუკის დეტალურ აღწერას და მასზე საქართველოს და ქართველების გამოსახვას შევეხებით, მოკლედ გაგაცნობთ ნიკოლა დე ფერის (1640-1720) შემოქმედებას. დე ფერი მისი ეპოქის მნიშვნელოვან გეოგრაფად და კარტოგრაფად ითვლება. ის საგამომცემლო საქმიანობითაც იყო დაკავებული და ძირითადად გეოგრაფიული ხასიათის ლიტერატურის გამოცემას და გაყიდვას ეწეოდა. ეს პროფესია მან მემკვიდრეობით მიიღო მშობლებისაგან. მისი ხელმძღვანელობით საოჯახო გამომცემლობა და კარტოგრაფიული დაწესებულება იმდენად განვითარდა და გაიზარდა, რომ მალევე სამეფო კარის ყურადღებაც მიიპყრო. 1690 წელს ის საფრანგეთის დოფინის ოფიციალური კარტოგრაფი გახდა. მოგვიანებით კი მას მიენიჭა ესანეთის მეფე ფილიპე V-ის და საფრანგეთის მეფე ლუი XIV- ის ოფიციალური კარტოგრაფის წოდება. ამას გარდა ის მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიასთან და სარგებლობდა იმ უახლესი ნაშრომებით, რომლებიც აკადემიის ფარგლებში იქმნებოდა. მისი რუკების უმეტესობას სწორედ ამის აღმნიშვნელი წარწერით არის გაფორმებული: „შედგენილია სამეფო მეცნიერებათა აკადემიის უახლესი აღმოჩენების მიხედვით“ (Dressée sur les nouvelles observations de Messieurs de l’Académie Royale des Sciences). დე ფერის კარტოგრაფიული მემკვიდრეობას შეადგენს ექვსასზე მეტ რუკას, რამდენიმე ატლასს, ასობით გრავიურას და ოცდაექვს კედლის რუკას. დე ფერის რუკები ასევე გამოყენებულია მისივე თანამედროვე გეოგრაფთა ნაშრომებში. აღსანიშნავია, რომ დე ფერის ატლასებიდან არაერთ რუკაზეა საქართველო გამოსახული, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვალსაჩინოა დე ფერის აზიის და ევროპის კონტინენტების რუკები. ეს ნიმუშები დაინტერესებული ქართველი აკადემიური წრეებისათვის კარგად არის ცნობილი, მაგალითად დე ფერის რამდენიმე რუკა საქართველოს გამოსახულებით შესულია ქართველი ისტორიკოსების გიორგი ლობჟანიძის[3] და ლაშა ბაქრაძის ნაშრომებში[4].

ნიკოლა დე ფერის აზიის კონტინენტის კედლის რუკა

დე ფერის რუკებს შორის საქართველო ყველაზე ვრცლად და დეტალურად არის ასახული მის ერთ-ერთ იშვიათ რუკაზე, რომელიც აზიის კონტინენტს მოიცავს. რუკის დასახელებაა: „აზიის რუკა, რომელიც მოიცავს მის ძირითად მხარეებს, მონაცემები ეყრდნობა სამეფო მეცნიერებათა აკადემიის აღმოჩენებს. შედგენილია საფრანგეთის დოფინის გეოგრაფის ნიკოლა დე ფერის მიერ პარიზში“ (სრული ფრანგულენოვანი დასახელებაა: L’Asie divisée selon letendu de

[3] გიორგი ლობჟანიძე. ევროპული რუკები და საისტორიო წყაროები საქართველოს შესახებ. XVI-XVIII სს. თბილისი, 2010

[4] Lasha Bakradze. Georgia on Maps. Sulakauri Publishing, 2020

ses principales parties, et dont les points principaux sont placez sur les observations des Messieurs de l'Academie Royale des Sciences. Dressée par N, de Fer, Geographe de monsieur de Dauphin. A Paris chez l'auteur dans l'Isle du Palais, fur le Quay de l'Horloge, à la Sphere Royal. Avec le Privilege du Roy, 1696).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს რუკა არ წარმოადგენს არც ერთი გეოგრაფიული ატლასის შემადგენელ ნაწილს, ის მომზადდა როგორც კედლის რუკა საფრანგეთის დოფინის საპატივცემულოდ. მსგავსი კედლის რუკები მასობრივად არ იწარმოებოდა, ისინი განკუთვნილი იყო მხოლოდ სამეფო კარის და უმაღლესი არისტოკრატიის მოსახმარად. დე ფერის სახელს უკავშირდება სულ უცდაექვსი კედლის რუკის გამოშვება. ერთ-ერთი პირველი მათგანი კი სწორედ წარმოდგენილი აზიის რუკაა, ამ სერიაში სულ ოთხი რუკა შედის - აზიის, ევროპის, ამერიკის და აფრიკის რუკები. ოთხივე რუკა მსგავსი სტრუქტურის მიხედვით არის შედგენილი, გამოირჩევა უაღრესად დახვეწილი დეკორატიული გაფორმებით და გეოგრაფიული ინფორმაციის სიუხვით. ოთხივე რუკა, არაერთი შეფასებით მიჩნეულია ფრანგული დეკორატიული კარტოგრაფიის შედევრად. ეს რუკები სულ რამდენიმე ეგზემპლარის სახით არის შემორჩენილი, მათ შორის საუკეთესო ნიმუშები კი დაცულია საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. წარმოდგენილ პუბლიკაციაში ჩვენ სწორედ საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულ ერთ-ერთ ეგზემპლარს ვიყენებთ.

რუკა უჩვეულოდ დიდი ფორმატისაა (ზომა: 114 x 165 სმ), დაბეჭდილია ოთხ ფურცელზე (იხ. სურ. 1), კონტინენტის რუკა განთავსებულია ცენტრალურ ნაწილში, რომლის გარშემოც, ოთხივე მხარეს განთავსებულია დეკორატიული გაფორმებები და გრავიურები აზიის სხვადასხვა ხალხთა გამოსახულებებით. თავის მხრივ ამ გამოსახულებებს ახლავს მცირე განმარტებითი ტექსტები წარმოდგენილი ხალხების შესახებ. რუკაზე დატანილია გრავიურები შემდეგი ხალხების გამოსახულებებით: ჩინელები, იაპონელები, თურქები, ინდოელები, თათრები, ფილიპინელები, წყნარი და ინდოეთის ოკეანის კუნძულოვანი ქვეყნების ხალხები, მონღოლები, სომხები, ქართველები, იმერლები, მეგრელები. ამას გარდა, რუკის მარკვენა, მარცხენა და ქვედა მხარეებზე დატოვებულია ვრცელი ადგილი გეოგრაფიული აღწერისათვის. კერძოდ, წარმოდგენილია ძირითადი გეოგრაფიული ინფორმაცია აზიის კონტინენტის შესახებ: ძირითადი მდინარეები, ქალაქები, კონცხები, ტბები და სახელმწიფოები.

რუკაზე ასახული ინფორმაცია და გეოგრაფიული თუ ეთნოგრაფიული მონაცემები თავად დე ფერის მიერაა შედგენილი მისთვის ხე-

ლმისაწვდომ ფრანგულ წყაროებზე დაყრდნობით. გრავიურებს რაც შეეხება, დე ფერის დიზიანის მიხედვით შესრულებულია ჰოლანდიელი გრავიორის და მხატვრის ჰენდრიკ ვან ლუნის (Hendrik van Loon) მიერ. აღსანიშნავია, რომ ეს რუკა მოგვიანებით, 1760-იან წლებში გამოსცა კიდევ ერთმა ცნობილმა ფრანგმა კარტოგრაფმა ლუი ჩარლზ დესნოსმა (1725-1805).

საქართველოს და ქართველების გამოსახვა დე ფერის რუკაზე

რუკაზე საქართველოს და ქართველების შესახებ ინფორმაცია ასახულია როგორც კარტოგრაფიულ ნაწილში, ასევე დეკორატიულ გაფორმებებში. ისევე როგორც ამ ეპოქის რუკების უმრავლესობაზე, წარმოდგენულ რუკაზეც საქართველო აღნიშნულია ორმაგი სახელწოდებით Georgie და Gurgistan (გეორგიე, გურგისტანი/გურჯისტანი). ქვეყნის აღმნიშვნელი ეს სახელწოდება რუკაზე მთავრული ასეობით ადგილს იკავებს შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ცენტრალურ ტერიტორიაზე. შედარებით მომცრო შრიფტით კი აღნიშნულია საქართველოს ცალკეული რეგიონები: Abaza (აფხაზეთი), Mingrelie (სამეგრელო), Guriel (გურია), Immirette (იმერეთი), Baratralu (სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, სახელწოდება „საათაბაგოდან“ უნდა მომდინარეობდეს), Carduel (ქართლი). დასახლებულ პუნქტებს შორის გამოყოფილია: Cotatis (ქუთაისი), Teflis (თბილისი), Cori (გორი), Scanda (სკანდა), Zagen (ძეგამი). რუკაზე ასევე დატანილია ორი მდინარე, დასავლეთ საქართველოში მდინარე Fasso (ფაზისი/რიონი), აღმოსავლეთ საქართველოში კი Kur (მტკვარი). (იხ. სურ. 2).

რუკის მარცხენა მხარეს განთავსებულ აზიის კონტინენტის აღწერილობით ტექსტში ასევე გვხვდება მცირე მონაკვეთი საქართველოს შესახებ, რომლის მიხედვითაც „გეორგიე“ ანუ „გურგისტანი“ არის ქვეყანა, რომელიც შედგება შემდეგი მხარეებისგან: სამეგრელო, ქართლი, გურია, იმერეთი. აზიის კონტინენტის ძირითადი ქალაქების ჩამონათვალში კი ადგილს იკავებს საქართველოს შემდეგი ქალაქები: ქუთაისი, თბილისი და ძეგამი.

რუკაზე განსაკუთრებით საინტერესოა დეკორატული გაფორმების ნაწილი, რომლის ქვედა, ცენტრალურ მონაკვეთში წარმოდგენილია გრავიურები ქართველთა გამოსახულებით და დამატებითი ტექსტუალური ინფორმაცია ქართველთა შესახებ. უფრო კონკრეტულად, რუკის ამ ნაწილში დახასიათებული არიან ქართველები, იმერლები და მეგრელები შესაბამისი ილუსტრაციებითურთ. ზოგადად ქართველთა სამივე ამ ჯგუფის შესახებ აღნიშნულია, რომ გამოირჩევიან ფიზიკური სილამაზით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად ხაზგასმულია

ქართველი ქალების სილამაზეზე, მამაკაცებს ახასიათებთ ბრძოლისუნარიანობა, თუმცა ცნობილი არიან თავიანთი უხეშობით. ავტორი აღნიშნავს ასევე ნაკლოვან მხარეებსაც, მაგალითად მეგრელების შესახებ წერს, რომ მიდრეკილნი არიან ქურდობისაკენ, სამეგრელოს მთავრები კი ეწევიან საკუთარი ყმების გაყიდვას. ეს ჩანაწერი ამავე ეპოქის არაერთი ევროპელი ავტორის თუ მოგზაურის მიერ არის გადმოცემული და ასახავს საქართველოში გავრცელებულ „ტყვეთა სყიდვის“ პრაქტიკას. ადამიანებით ვაჭრობის ეს მანკიერი გამოცდილება რუკაზე ასახულია სამეგრელოს საილუსტრაციო გრავიურაზე (იხ. სურ. 3), რომელზეც ჩანს ნავში მოთავსებული და გასაყიდად გამზადებული ყმები და მათი ბატონი. რუკაზე საქართველოს აღწერისას რამდენიმე ადგილას ნახსენებია მეღვინეობის კულტურის განვითარების შესახებაც. გლეხების მიერ ყურძნის კრეფის სცენა კი გამოყენებულია იმერეთის რეგიონის საილუსტრაციოდ (იხ. სურ. 4).

რუკაზე დატანილ გრავიურებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ქართველების ამსახველი ორი ნახატი. ერთზე გამოსახულია სარკეში მოცქირალი ქართველი ქალი (იხ. სურ. 5), როგორც ნიმუში ქართველთა სილამაზისა. მეორეზე კი აღბეჭდილი არიან ქართველი მოლაშქრეები, რომლებიც იერუსალიმში შედიან მაღლა აღმართული დროშით (იხ. სურ. 6). ამ გამოსახულებას ახლავს განმარტებაც, როლის მიხედვითაც იერუსალიმში დროშებით შესვლა ქართველთა პრივილეგიაა. ნახატზე ქართველების მიერ აღმართულ ეროვნულ დროშაზე კი წმინდა გიორგია გამოსახული. რუკის მომზადების მომენტისათვის იერუსალიმში ქართველთა უფლებები უკვე მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული, თუმცა მე-13 საუკუნიდან მოყოლებული არაერთი ევროპელი ავტორი იმეორებს იერუსალიმში ქართველთა შესვლის პრივილეგირებული უფლების შესახებ. სავარაუდოა, რომ დე ფერი რუკაზე მუშაობის დროს ეყრდნობა მისივე თანამედროვე ფრანგ გეოგრაფებს. კერძოდ, რუკის გამოცემამდე რამდენიმე წლით ადრე ქართველთა დასახასიათებლად იგივე ფაქტი ყავთ მოყვანილი ფრანგ გეოგრაფებს პიერ დიუვალს (1619-1683) და ფეროტე დე ლა კრუას (1640-1715)[5].

წარმოდგენილ რუკაზე საქართველოს გეოგრაფიული გამოსახვა სიზუსტით არ გამოირჩევა, თუმცა ის ევროპულ კარტოგრაფიულ ქმნილებებს შორის უთუოდ გამორჩეულ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

---

[5] ორივე ავტორის ნაშრომები უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა მე-17 და მე-18 საუკუნეების ევროპაში. პიერ დიუვალის „მსოფლიო გეოგრაფია“ (Pierre Duval. Geographie Universalle) 1660-1688 წლებში ექვსჯერ იქნა გამოცემული. დე ლა კრუას „გეოგრაფიის შესწავლის ახალი მეთოდი“ (Antoine Phérotée de La Croix. Nouvelle méthode pour apprendre la géographie universelle) კი 1690-1717 წლებში სამჯერ გამოიცა. ორივე ნაშრომი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს საქართველოს გეოგრაფიის და ეთნოგრაფიის შესახებ.

ჩვენს მიერ მოძიებულ ევროპულ რუკებს შორის ის ერთადერთია, რომელზეც ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის გარდა ასახულია ქართველთა ეთნოგრაფიასთან და ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული სცენები. მხედველობაში მოსაღებია ის გარემოებაც, რომ წარმოდგენილი რუკა შექმნილია საფრანგეთის სამეფო არისტოკრატიისათვის, ის გამოფენილი იყო სამეფო სასახლეებსა და ძირითად აკადემიურ დაწესებულებებში. შესაბამისად ფრანგული პოლიტიკური და აკადემიური წრეებისათვის ის წარმოადგენდა საქართველოს შესახებ პირველადი ინფორმაციის მოპოვებისათვის მნიშვნელოვან პირველწყაროს.

ილუსტრაციები



Source gallica.bnf.fr / Bibliothèque nationale de France

სურ. 1 ნოკოლა დე ფერის აზიის რუკა (მთლიანი გამოსახულება) - La Bibliotheque Nationale de France

PETITE TARTARIE, ou TARTARES D'EUROPE.
Don R. ou Tanais
Azak ou Azow
Cabardinki
Petigori
Tartares d'Aguestan
Kafa aux Turcs
Pais d'Abaza
GEORGIE
Mingrelie
Darbent
Cotatis
Carduels
Schirvan
Teflis
GURGISTAN
Karasbag
Niscowa
Baratralu
Trebizon de
Erzerum
Kars ou Cori
Iran
Erivan
Kilan
Mazanderan
Teberestan
Esterabath
Ferhabad
Adherbetzan
Ardevil
Tauris
Casbin ou Caswin
Kaschan
Turcomanie
Armenie
Amasie
Amacie
Trebizon
MER NOIRE autrefois PONT EUXIN
CRIMSKI
Une Grande partie des Europeens Appellent Cette Mer CASPIENNE les Perses KULSUM, et TABRISTAN les Moscovites
GUALENSKOI MORE et quelques Peuples aux environs DE SALA et DE BAKU
Golfe de Tabaristan
Golfe de Negropol
Vieux Astrakan
Astracan
Serachick
Olgaega
Mangu
Koelalinskoy
Menkoy
Tzaritzi
Niasaba
Zagen
Tzavat
Kelleckol
Ensil Isle
Meschedesser
Sava
Kom
Plaine de Sel
Sablu
Tabrgilak
Cherijar
Sultanie, ou Soltanie
Sofian
Miana
Sankin
Albach
Balmas
Bilis
Van
Cours
Mont Mongul
Wakirvan
Amarant
Zulfa
Rescht
Fumen
Arion
Kisilozein R.
Sarv
Gorgian
Sabsevar
Meich
Thous
Nisabour
Thim
Kayem
Tarschis
Amul
Büar
Hrei
Peri
Sarakhas
Esteraba
Tiagna
Genna R.
Malaga
Coboque
Marasch
Samosat
Caramelit
Adena
Cogni
Aphiom
Arsingan
Erzerum
Trebizon
Amasie
Amacie
Sinobie
Chamie
Amastrie
Heraclee
Polia
Samson
Casabnach R.
Negingil
Ryze
Kars ou Cori
Nachschuan
Astabat
Senger assafa
Ruasse
Ruar
Iran
Erivan
Kilan
Mazanderan
Teberestan
Esterabath
Ferhabad
Nisabour
Kaschan
Casbin ou Caswin
Kom
Sava
Tauris
Van
Bilis
Balmas
Albach
Sankin
Miana
Soltanie, ou Soltanie
Sofian
Ardevil
Adherbetzan
Amarant
Wakirvan
Mont Mongul
Cours
Tzaritzi
Niasaba
Zagen
Tzavat
Kelleckol
Ensil Isle
Meschedesser
Rescht
Fumen
Arion
Kisilozein R.
Sarv
Gorgian
Sabsevar
Meich
Thous
Nisabour
Thim
Kayem
Tarschis
Amul
Büar
Hrei
Peri
Sarakhas
Esteraba
Tabrgilak
Cherijar
Sablu
Plaine de Sel
Kom
Sava
Kaschan
Casbin ou Caswin
Abhe
Tauris
Van
Bilis
Balmas
Albach
Sankin
Miana
Soltanie, ou Soltanie
Sofian
Ardevil
Adherbetzan
Amarant
Zulfa

სურ. 3 ადამიანებით ვაჭრობის სცენა სამეგრელოში - გრავიურა ნიკოლა დე ფერის აზიის რუკაზე (ფრაგმენტი) - La Bibliotheque Nationale de France

სურ. 4 ყურძნის კრეფის სცენა იმერეთში - გრავიურა ნიკოლა დე ფერის აზიის რუკაზე (ფრაგმენტი - La Bibliotheque Nationale de France)

სურ. 5 ქართველი ქალი - გრავიურა ნიკოლა დე ფერის აზიის რუკაზე (ფრაგმენტი) - La Bibliotheque Nationale de France

სურ. 6 ქართველთა შესვლა იერუსალიმში გაშლილი დროშით, რომელზეც გამოსახულია წმინდა გიორგი (ფრაგმენტი) - La Bibliotheque Nationale de France